ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №135

ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი №SPA170004358

31 მარტი 2017 წელი

ქალაქი ქუთაისი

ერთის მხრივ,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, **შოთა მურღულიას** სახით,
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170
ტელეფონის ნომერი: +995 (431)-24-54-54
ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: №200122900
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,
შ.პ.ს. ,,ტაინა"
წარმოდგენილი შ.პ.ს. ,,ტაინა"-ს დირექტორის **ვასილ გეთიაშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, მ. ზუხაიძის ქ. II მ/რ №29 ბ 43
საიდენტიფიკაციო ნომერი: №412700536
ტელეფონის ნომერი: +995 591-14-34-44
ელექტრონული ფოსტა: getiashvili.vasili@mail.ru
საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE24TB7906936080100004
(შემდგომში მიმწოდებელი)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და შ.პ.ს. ,,ტაინა"-ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – ,,ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ ,,შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გაიმარჯვა ტენდერში და ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ **ერთეტაპიან გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია**, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის სხვადასხვა დასახელების ელექტროტექნიკის შეკეთება-მონტაჟი.
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------------- შ.პ.ს. ,,ტაინა" ----------------

(ფასების ცხრილი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).
2.3 კლასიფიკატორის კოდი – 50711000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 7920 (შვიდი ათას ცხრაას ოცი) ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.
4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი".
4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყოვნებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.
4.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ელექტროტექნიკის მონტაჟი განახორციელოს საკუთარი სამონტაჟო მასალებით, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სპეცტექნიკის გამოყენება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიისა და სტრუქტურული ერთეულების ადმინისტრაციულ შენობებში ეტაპობრივად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.2 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ განფასების ცხრილში არ არის გათვალისწინებული იმ მომენტისათვის საჭირო საქონელი (ნაწილები) და მომსახურება, აღნიშნული ერთეულ(ებ)ის ფასი, მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება მხარეთა შორის შეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში საქონლის რომელიმე ერთეულ(ებ)ის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.
5.3 ფასების ცხრილში მოცემული მომსახურება შესაძლებელია სრულად არ შეისყიდოს „შემსყიდველმა" და ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, ერთეულის ღირებულების შეუცვლელად.

6. გარანტია

6.1 ,,მიმწოდებლის" მიერ შეცვლილ ან/და შეკეთებულ ნაწილებზე (დეტალებზე) საგარანტიო ვადა განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან მინიმუმ 6 (ექვსი) თვით, გარდა მექანიკური ზემოქმედების, არასტაბილური ელექტრო ენერგიის მიწოდებით ან არასწორი ექსპლოატაციით გამოწვეული დაზიანებისა. წუნის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" ვალდებულია განახორციელოს რეაგირება არაუმეტეს 48 საათისა, საჭიროების შემთხვევაში გამოცხადდეს ,,შემსყიდველთან" და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა ან შეკეთებული ნაწილის ახლით შეცვლა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

7.1 ,,შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტს მიიღებს ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
7.2 „მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.
7.3 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: გაწეული მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება
7.4 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია -------------- შ.პ.ს. ,,ტაინი" --------------

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი"-ს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი.

გ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ.-ს ანგარისფაქტურა.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა: (გადარიცხვა) ლარებში.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად, შესრულების დამდასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდგ ბ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 „მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი (ქვეკონტრაქტი) არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების (დანართი) შეტანის გზით.

12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

12.2 „შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს „მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

12.3 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------- შ.პ.ს. „ტაინ

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებელი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:

13.3 თუ „მიმწოდებელი" გადაიცილებს მომსახურების გაწევის ვადას, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

13.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%–ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" გადაიხდის პირგასამტეხლოს, 6340 (ექვსი ათას სამას ორმოცი) ლარის ოდენობით.

13.6 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

13.7 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" მირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

14.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თაცმი მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გარდა მე-6 მუხლის 6.1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნისა.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------- შ.პ.ს. „ტანა" ----------

ფასების ცხრილი

№	*საქონლის დასახელება და მახასიათებელი*	*რაოდენობა (ცალი)*	*ერთეულის ღირებულება ₾*	*საერთო ღირებულება ₾*
1	ზამთარ-ზაფხულის კონდენციონერის მონტაჟი (სამონტაჟო მასალით)	15	100	1500
2	ზამთარ-ზაფხულის კონდენციონერის დემონტაჟი	6	30	180
3	ზამთარ-ზაფხულის კონდენციონერის ფრეონით შევსება	40	25	1000
4	ზამთარ-ზაფხულის კონდენციონერის კონდენსატორის შეცვლა	10	30	300
5	ზამთარ-ზაფხულის კონდენციონების კონდიციონერის გაწმენდა	100	20	2000
6	ზამთარ-ზაფხულის კონდენციონების კონდიციონერის ონიავრსალური	4	30	120
7	მაცივრის აგრეგატის ფრეონით შევსება	10	40	400
8	მაცივრის რელეს შეცვლა	5	40	200
9	ტელევიზორი "Hysense"-ის კვების ბლოკის შეცვლა	1	50	50
10	ტელევიზორი "Hysense"-ის პროგრამირება-ინსტალაცია	1	50	50
11	ტელევიზორი "samsung"-ის კვების ბლოკის შეცვლა	1	45	45
12	წყლის ჩამომსხმელი დისპენსერის შეკეთება	5	40	200
13	წყლის ჩამომსხმელი დისპენსერის ფრეონით შევსება	5	25	125
14	ამწეთი მომსახურება	10	175	1750
	ჯამი ₾			7920

შპს „ტაინა"-ს დირექტორი: